აინ რენდი

ჰიმნი

საქართველოს უნივერსიტეტის
გამომცემლობა
2019

აინ რენდი
ᲰᲘᲛᲜᲘ

პაატა შეშელიძე (აკადემიური რედაქტორი)**, გია ჯანდიერი, გიორგი ჩიქოვანი, გიორგი ჩხიკვაძე, კონსტანტინე თოფურია**

თარგმნა **ევგენი მიქელაძემ**

თარგმანი ეძღვნება **ა. ჩ-**ს

რედაქტორი **ელიკო შოშიტაშვილი**
ყდის დიზაინერი **მიშა აბესაძე, მარი ვერულაშვილი**
დამკაბადონებელი **რეზო თხილიშვილი**

გამოცემა მომზადებულია ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველოსა და საქართველოს უნივერ-სიტეტის თანამშრომლობით

გარეკანზე გამოყენებულია კადრი გრეგ ბოუიერის ფილმიდან „ᲰᲘᲛᲜᲘ“ (აინ რენდის „ᲰᲘᲛᲜᲘᲡ“ ადაპტაცია)

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
მერაბ კოსტავას გამზირი 77ა, თბილისი
ელფოსტა: info@ug.edu.ge

ISBN 978-99940-50-74-1

Ayn Rand
Anthem

Editorial board:
Paata Sheshelidze (academic editor)**, Gia Jandieri, George Chikovani, George Chkhikvadze, Konstantine Topuria**

Translated by **Evgeni Mikeladze**

Publication prepared in cooperation of New Economic School – Georgia; University of Georgia, Georgia

The Universiy of Georgia Publishing House
www.ug.edu.ge

სარჩევი

ჰიმნი – გზა თანასწორობიდან ინდივიდუალურობამდე (პაატა შეშელიძე)..... 5

აინ რენდი და მისი „ჰიმნი" (ევგენი მიქელაძე)..... 7

აინ რენდი, ჰიმნი..... 23

თავი პირველი..... 25

თავი მეორე..... 40

თავი მესამე..... 50

თავი მეოთხე..... 53

თავი მეხუთე..... 56

თავი მეექვსე..... 59

თავი მეშვიდე..... 63

თავი მერვე..... 70

თავი მეცხრე..... 73

თავი მეათე..... 78

თავი მეთერთმეტე..... 83

თავი მეთორმეტე..... 85

ჰიმნი – გზა თანასწორობიდან ინდივიდუალურობამდე

ვარლ მარქსი „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ ე.წ. „ბურჟუაზიული“ საზოგადოების „კომუნისტურით“ ჩანაცვლების გზას „ინდივიდუალურობის“, „კერძო საკუთრების“, „ოჯახის“, „აბსოლუტური ჭეშმარიტებების“, „ერისა“ და „წარსულის“ უარყოფაში ხედავს.

აინ რენდის დისტოპიური რომანის „ჰიმნის“ გმირები სწორედ მარქსის „საბჭოთა“ სამყაროში ცხოვრობენ:

მათ არა აქვთ ინდივიდუალურობის უფლება — ისინი დანომრილები არიან, ცხოვრობენ კოლექტივში და აზროვნებენ მრავლობით რიცხვში;

მათ არა აქვთ კერძო საკუთრების უფლება — ისინი მოკლებულნი არიან საკუთარი შესაძლებლობების განხორციელების უფლებას და მთელი ცხოვრება ასრულებენ „დასაქმების საბჭოს“ მიერ მათთვის დადგენილ სამუშაოს;

მათ არა აქვთ ოჯახის შექმნის უფლება — მრავლდებიან ერთჯერადი შეწყვილებით, არასოდეს ხვდებიან ხელმეორედ, არ იცნობენ შვილებს, არ იცნობენ მშობლებს;

მათ არა აქვთ უფლება — იქონიონ საკუთარი აზრი, ეძიონ ჭეშმარიტება ან თუნდაც უბრალოდ, განმარტოვდნენ. მკრეხელობენ, როდესაც გაიფიქრებენ იმას, რასაც სხვა არ ფიქრობს. არ არსებობს უფრო მძიმე დანაშაული, ვიდრე მარტო მოქმედება ან ფიქრია; მათ

არა აქვთ უფლება, მიეკუთვნებოდნენ რომელიმე ჯგუფს. ისინი ერთნი არიან ყველაში და ყველანი — ერთში. არსებობენ არა ადამიანები, არამედ მხოლოდ მათი უსახური ერთობა — „დიადი ჩვენ“ — ერთი, განუყოფელი და მარადიული;

მათ არ უნდა იცოდნენ თუ რა იყო წარსულში — ისინი მხოლოდ იმას უნდა ხედავდნენ, რომ „დღევანდელობა დომინირებს წარსულზე“ და ეკრძალებათ ისაუბრონ იმ ხანაზე, რომელიც „დიად განახლებას“ უსწრებდა წინ.

ცხოვრობენ, მაგრამ მარქსის ოცნების სამყარო სულაც არ არის საუკეთესო: ესაა სამყარო სინათლისა და მომავალის გარეშე.

აინ რანდი უპირისპირდება მარქსის ოცნებას. ის და მისი გმირი „თანასწორობა 7-2521“ არ ნებდებიან: იგი ნაბიჯ-ნაბიჯ აღწერს თუ როგორ შეიძლება რიგითი მოკვდავი გახდეს „უძლეველი“, რომელსაც სურს აიღოს „ღმერთების სინათლე და ადამიანებს მოუტანოს იგი“.

რომანი კომუნისტურ მანიფესტის განხორციელების მცდელობით დამსხვრეული ადამიანურობის რესტავრაციას ეძღვნება: ადამიანი, რომელიც მოწოდებით მეცნიერია, მაგრამ მეეზოვედაა გამწესებული, იწყებს ფიქრს, სვამს კითხვებს, იხილავს პასუხებს, იჩენს ცნობისწადილს, გამბედაობასა და წინდახედულებას, აყალიბებს თანამოაზრეთა ჯგუფს, იკვლევს, ცვლის სამყაროს საკუთარ თავში და მის გარშემო, პოულობს სიყვარულს და აღმოაჩენს სინათლის წყაროს, ცდილობს დაარწმუნოს სხვები ამ აღმოჩენის სიკეთეში; არ ეპუება უარყოფას, ერკვევა წარსულში და ხვდება თუ რატომ და როგორ დაიკარგა იგი; ქმნის ოჯახს, ესწრაფვის თავისუფლებას, გარბის, რათა დაბრუნდეს და იბრძოლოს თავისი უფლებებისთვის, საკუთარი სიცოცხლისთვის, საკუთარი ღირსებისთვის; პოულობს საკუთარ მეს და სრულდება კიდეც „ჰიმნი“ ადამიანის ეგოს პატივსაცემად.

რენდის კალამი ამხელს და ამარცხებს მარქსს.

პაატა შეშელიძე
ახალი ეკონომიკური სკოლა —
საქართველოს პრეზიდენტი

აინ რენდი და მისი „ჰიმნი“

ბიოგრაფია და შემოქმედება

ამერიკელი მწერალი, რაციონალური ეგოიზმის აპოლოგეტი და ფილოსოფიური მიმდინარეობა ობიექტივიზმის დამფუძნებელი აინ რენდი სანქტ პეტერბურგში, 1905 წლის 2 თებერვალს დაიბადა. მისი ნამდვილი სახელი და გვარია ალისა როზენბაუმი.

ალისას მამა — ზინოვი როზენბაუმი ფარმაცევტი გახლდათ და სანქტ პეტერბურგში ერთ-ერთ მსხვილ აფთიაქს ფლობდა. დედა, ჰანა კაპლანი, სტომატოლოგ-ტექნიკოსად მუშაობდა.

ჯერ კიდევ 4 წლის ასაკში ალისამ წერა-კითხვა ისწავლა, 8 წლისა უკვე სცენარებს წერდა, 10 წლისა კი — ნოველებს.

მამის წარმატებული ბიზნესის წყალობით, ალისამ ბავშვობა უზრუნველად გაატარა თავის ორ უმცროს დასთან ერთად. მაგრამ 1917 წელს ხელისუფლებაში მოსულმა ბოლშევიკებმა ზინოვი როზენბაუმს აფთიაქი ჩამოართვეს და იგი იძულებული გახდა ოჯახთან ერთად ყირიმში გახიზნულიყო, სადაც ჯერ კიდევ თეთრგვარდიელებს ეპყრათ სადავეები. ამ ყოველივემ მძიმე კვალი დატოვა მგრძნობიარე ალისაზე და იმთავითვე ანტაგონისტურად განაწყო სახელმწიფოს მხრიდან ადამიანთა პირად ცხოვრებაში ჩარევისადმი.

ალისამ საშუალო სკოლა ქალაქ ევპატორიაში, 1921 წლის ივნისში დაასრულა. მალე როზენბაუმების ოჯახი პეტროგრადში დაბრუნდა, სადაც მძიმე ეკონომიკურ პირობებში უწევდათ ცხოვრება და თითქმის მუდმივად შიმშილის ზღვარზე იყვნენ. ამავე წელს

ალისა პეტროგრადის უნივერსიტეტში ჩაირიცხა, სადაც სოციალური პედაგოგიკის სპეციალობას ეუფლებოდა. იგი ახლოს გაეცნო პლატონის, არისტოტელეს, ნიცშეს ნაშრომებს. ამ დროს, ალისა, რუსულის გარდა, წიგნებს კითხულობდა გერმანულ და ფრანგულ ენებზეც, მათ შორის, ფიოდორ დოსტოევსკის, ვიქტორ ჰიუგოს, ფრიდრიხ შილერის ნაწარმოებებს. ბურჟუაზიული წარმომავლობის გამო, სასწავლებლის დამთავრებამდე მცირე ხნით ადრე უნივერსიტეტიდან გარიცხეს. თუმცა, რუსეთში სამეცნიერო ვიზიტით მყოფ უცხოელ სპეციალისტთა მხარდაჭერით, მას და რამდენიმე სტუდენტს სწავლის გაგრძელების ნება დართეს. უნივერსიტეტის დასრულებისთანავე ლენინგრადის (ამჟამად სანქტ პეტერბურგის. — აკად. რედ.) კინოხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის სასცენარო ფაკულტეტზე აგრძელებს სწავლას. ერთხანს პეტროპავლოვსკის ციხესიმაგრეში გიდად მუშაობდა.

1925 წელს გამოცემაში „პოპულარული კინობიბლიოთეკა“ ალისამ გამოაქვეყნა სტატია ამერიკული მუნჯი კინოს ვარსკვლავის პოლა ნეგრის შესახებ. მალევე გამოიცა მისი ბროშურა ჰოლივუდზე.

ჩიკაგოში მცხოვრები ნათესავების მიწვევის საფუძველზე ალისამ აშშ-ის ვიზა მიიღო და 1926 წლის 17 იანვარს იგი საბჭოეთიდან გაემგზავრა. ალისა ნიუ-იორკში 19 თებერვალს ჩავიდა. იგი იმდენად მოიხიბლა მანჰეტენის ცათამბჯენებით, რომ მისივე თქმით, „სიდიადის ცრემლებით“ ატირდა. ნახევარ წელიწადს ალისა ჩიკაგოში ცხოვრობდა ნათესავებთან, რომელთაგან ერთ-ერთი კინოთეატრს ფლობდა და მას შეეძლო ათობით ფილმი უფასოდ ენახა. მალე ჰოლივუდში გაემგზავრა, სადაც გაიცნო ცნობილი რეჟისორი და პროდიუსერი სესილ დე-მილი და ფილმ „მეფეთა მეფის“ გადამღებ ჯგუფს შეუერთდა უმცროს სცენარისტად. ფილმზე მუშაობისას გაიცნო მსახიობი ფრენკ ო’კონორი. 1929 წლის 15 აპრილს მათ იქორწინეს... 1931 წლის 3 მარტს კი ალისა აშშ-ის სრულუფლებიანი მოქალაქე გახდა.

სტუდია, სადაც მუშაობდა, მალე გაკოტრდა და შემდგომ ორ წელიწადში რამდენიმე სამსახური შეიცვალა: მიმტანადაც კი მუშაობდა და სტუდია „RKO Pictures“-ის საკოსტიუმო განყოფილების ხელმძღვანელადაც. არც მოთხრობების წერა შეუწყვეტია და ფილმის სცენარებზეც მუშაობდა. ამავე პერიოდში, რამდენჯერმე

სცადა თავისი მშობლებისა და ორი უმცროსი დის აშშ-ში ჩაყვანა, მაგრამ ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. ასე რომ, მისი ოჯახი საბჭოეთში დარჩა: მშობლები ლენინგრადის ბლოკადაში დაიღუპნენ, უმცროსი დები კი სიცოცხლის ბოლომდე ამავე ქალაქში ცხოვრობდნენ.

ალისას ლიტერატურული დებიუტი უკავშირდება სასცენარო ნამუშევარს „წითელი პაიკები“, რომელიც სოლიდურ თანხად მიჰყიდა „უნივერსალ სტუდიოს“ 1932 წელს. მომდევნო წელსვე დაასრულა პიესა „16 იანვრის ღამე“, რომელიც 1934 წელს წარმატებით დაიდგა ლოს-ანჯელესში, ხოლო 1935 წელს — ბროდვეიზე, ნიუ იორკში.

1934 წლის დეკემბრიდან წყვილი ნიუ-იორკში გადასახლდა.

1936 წელს გამომცემლობა „მაკმილან ფაბლიშინგმა“ გამოსცა მისი პირველი სქელტანიანი ნახევრად ავტობიოგრაფიული რომანი „ჩვენ, ცოცხლები“. სწორედ, ამ პერიოდიდან ლიტერატურულ ფსევდონიმად ირჩევს აინ რენდს, საკუთარი საბეჭდი მანქანის ბრენდის სახელწოდებიდან — „რემინგტონ რენდი“. აინ რენდმა ამ რომანს მთელი ოთხი წელიწადი მოანდომა. მასში აღწერილია 1922-1925 წლების საბჭოთა რუსეთის ყოფა და წარმოადგენს ანტიკომუნისტურ მანიფესტს, რომელიც ასახავს ტოტალიტარული სისტემის პირობებში მცხოვრებ ადამიანთა გაუსაძლის ყოფასა და ტრაგიზმს. ძალიან მალე რომანის 3 მილიონზე მეტი ეგზემპლარი გაიყიდა.

მომდევნო, 1937 წელს, აინ რენდმა დაასრულა მცირე მოცულობის ანტიუტოპიური ნოველა „ჰიმნი“, რომელიც ხოტბას ასხამს ტოტალიტარულ და კოლექტივისტურ სისტემაში აღზრდილ ადამიანთა სწრაფვას თავისუფლებისკენ, ინდივიდუალობისა და პიროვნული მეობისკენ. ეს ნოველა პირველად 1938 წელს დიდ ბრიტანეთში გამოიცა.

აინ რენდს წარმატება მოუტანა ფილოსოფიურმა რომანმა „წყაროსთავი“, რომელიც გამომცემლობა „ბობზ მერილმა“ 1943 წელს გამოსცა. მწერლის უდიდესი აღიარება და პოპულარობა კი უკავშირდება ფილოსოფიურ-ფანტასტიკურ რომანს „ატლანტმა მხრები გაშალა“, რომელიც გამომცემლობა „რენდომ ჰაუსმა“ 1957 წელს დაბეჭდა. სწორედ ამ სქელტანიან რომანშია გადმოცემული აინ რენდის ფილოსოფიური სკოლის — ობიექტივიზმის — საფუძვლები, რომ-

ლებიც შემდეგ სიტყვებში გამოიხატება: „ჩემი ფილოსოფია, არსებითად, წარმოადგენს ადამიანის, როგორც ჰეროიკული არსების ცნებას, ვისთვისაც პირადი ბედნიერება ცხოვრების ზნეობრივი მიზანია, შემოქმედებითი წარმატება — უკეთილშობილესი მოძრაობა, ხოლო გონება — ერთადერთი აბსოლუტი“. აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკის კვლევის მიხედვით, „ატლანტმა მხრები გაშალა“ მიეკუთვნება იმ წიგნთა კატეგორიას, რომელთაც უდიდესი გავლენა მოახდინეს საკაცობრიო აზროვნებაზე და მათზე მსოფლიოში უდიდესი მოთხოვნაა. სწორედ ამ ვრცელი რომანის შექმნის პროცესში ჩამოყალიბდა კიდეც აინ რენდის თანამოაზრეთა პირველი ჯგუფი, რომელსაც ეწოდა „კლასი 1943, ანუ კოლექტივი“ („წყაროსთავის“ გამოცემის წლის მიხედვით). ჯგუფის პირველ წევრებს წარმოადგენდნენ „წყაროსთავის“ იდეებით შთაგონებული ცოლ-ქმარი ნათან ბლუმენთალი და ბარბარა ვიდმანი (შემდგომში ბრენდანები), ასევე ბარბარა ვიდმანის 17 წლის ნათესავი ლეონარდ პეიკოფი. ისინი ნიუ იორკში რენდის ბინაში იკრიბებოდნენ. ჯგუფს მალევე შეუერთდნენ: ეკონომიკის ექსპერტი ალან გრინსპენი (აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სამსახურის ხელმძღვანელი 1987-2006 წლებში), სახელგანთქმული ეკონომისტები მარი როთბარდი და ჯორჯ რეისმანი.

1962 წელს აინ რენდმა ნათან ბრენდენთან ერთად დააფუძნა ყოველთვიური გამოცემა „ობიექტივისტის მაცნე“ („The Objectivist Newsletter“), რომელიც აქვეყნებდა სტატიებს აქტუალურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ თემებზე ობიექტივისტური ფილოსოფიის ჭრილში. ამავე პერიოდში, აინ რენდს ხშირად იწვევენ სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემასა და თოქშოუში, მათ შორის „60 წუთში“, რაც კიდევ უფრო ზრდის მის ინტელექტუალურ გავლენას ამერიკელ საზოგადოებაზე.

1961 წელს აინ რენდი გამოსცემს თავის პირველ არამხატვრულ ნაშრომს „ახალი ინტელექტუალებისთვის“; 1964 წელს გამოიცა მისივე „თვითკმაყოფილების სათნოება”, ხოლო 1966 წელს „კაპიტალიზმი: უცნობი იდეალი“, რომელიც წარმოადგენს მისი ლექციებისა და პუბლიკაციების ერთგვარ კრებულს. 1969 წელს რენდი გამოსცემს „რომანტიკულ მანიფესტს“, რომელიც აერთიანებს ესეებს ხელოვნების მნიშვნელობაზე. 1971 წელს შეწყდა ყოველთვიური გამოცემა „ობიექტივისტის მაცნე“ (1967 წლიდან — „The Objectivist“-ი) და